

შპს ასტერბიტი

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2024 წ.

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	5
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	6
5. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	6
6. ძირითადი საშუალებები	7
7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	9
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
10. სააქციო კაპიტალი	12
11. ამონაგები მომსახურების გაწევიდან	12
12. შრომითი დანახარჯები	13
13. მომსახურების ხარჯები	13
14. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები	13
15. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	14

შპს ასტერბიტი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	639,067	322,876	416,395
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	356,427	123,881	77,648
მარაგები		-	-	1,578
საგადასახადო აქტივები, წმინდა		15,449	25,283	14,779
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,010,943	472,040	510,400
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	280,444	163,443	231,723
არამატერიალური აქტივები		2,580	3,061	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		283,024	166,504	231,723
სულ აქტივები		1,293,967	638,544	742,123
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	286,810	420,277
საიჯარო ვალდებულებები	7	112,696	101,512	110,336
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		112,696	388,322	530,613
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	7	105,946	-	101,988
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		105,946	-	101,988
სულ ვალდებულებები		218,642	388,322	632,601
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	10	1,605,000	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება		(529,675)	150,222	9,522
სულ საკუთარი კაპიტალი		1,075,325	250,222	109,522
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,293,967	638,544	742,123

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 15 სექტემბერი:

გრიგოლ ავეტიკოვი

გენერალური დირექტორი



შპს ასტერბიტი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	11	3,743,059	2,502,101
შრომითი დანახარჯები	12	(2,612,017)	(1,147,943)
მომსახურების ხარჯები	13	(1,575,068)	(984,435)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(77,873)	(73,307)
შემოსავლები ფინანსური შემოსავლის, ფინანსური დანახარჯების, მოგების გადასახადის ხარჯის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		(521,899)	296,416
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(129,418)	(126,094)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(651,317)	170,322
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური დანახარჯები	7	(28,580)	(29,622)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(679,897)	140,700
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება (ზარალი)		(679,897)	140,700
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		(679,897)	140,700

შპს ასტერბიტი
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100,000	9,522	109,522
წლის მოგება	-	140,700	140,700
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100,000	150,222	250,222
წლის წმინდა ზარალი	-	(679,897)	(679,897)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1,505,000	-	1,505,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,605,000	(529,675)	1,075,325

შპს ასტერბიტი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

<i>ლარში</i>	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,140,359)	(14,427)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(31,461)	(68,237)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,505,000	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	333,180	(82,664)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(16,989)	(10,855)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	322,876	416,395
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	639,067	322,876

1. კომპანია და მისი საქმიანობა

„ასტერბიტი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2022 წლის 4 ნოემბერს და საქმიანობას საქართველოში ეწევა. 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მშობელი საწარმო, 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, იყო სს „ოპპა“

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობაა პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება და მასთან დაკავშირებული სერვისები.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი №15, 0160 თბილისი, საქართველო. კომპანია დაარსებულია საქართველოს რეგულაციების მიხედვით და დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405575685.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვანაირად შეიძლება იქნეს აღქმული, რაც კიდევ უფრო ურთულესს საქმეს საქართველოში მოქმედ კომპანიებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, ისევე, როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. არსებული ეკონომიკური ვითარების გრძელვადიანი ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

3. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) სრულ შესაბამისობაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯის შედარებით მაღალ დონეს ან ხასიათდება სირთულით, ან ის საკითხები, რომელთა შემთხვევაშიც ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და წინასწარი შეფასებები, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“).

გარიგებები და ნაშთები. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანა ხდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ოპერაციების ანგარიშსწორებისა და, სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების

კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანისას საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების“ მუხლში. ყველა სხვა საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯების“ მუხლში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავარი გაცვლითი კურსი, რომელიც დაადგინა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაყვანისთვის, იყო 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი და 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა უცხო ქვეყნების უმეტესობაში.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასება, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

5. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს ასტერბიტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარში	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	339,270	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები, შემოსავლისა და ხარჯის მუხლები ასე გამოიყურებოდა:

ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	31 დეკემბერი, 2023 წ. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ამონაგები მომსახურებიდან	3,743,059	2,502,101

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

ლარში	2024 ხარჯი დარიცხული ვალდებულება	2023 ხარჯი დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:		
- ხელფასები	(1,064,522)	(215,947)
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	(15,000)	(15,000)

6. ძირითადი საშუალებები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით, სადაც საჭიროა.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
საოფისე აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს საოფისე და სასაწყობო ფართებს. ხელშეკრულებები შეიძლება შეიცავდეს როგორც საიჯარო, ისე არასაიჯარო კომპონენტებს. კომპანია სახელშეკრულებო ანაზღაურების თანხას საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებზე ანაწილებს მათი ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა, როგორც წესი, ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. თუ კომპანიას გონივრულ ფარგლებში მოელის შესყიდვის ოფციონის აღსრულებას, აქტივის გამოყენების უფლების

შპს ასტერბიტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

ცვეთა ხდება საიჯარო აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებზე. აქტივის გამოყენების უფლების მუხლებს ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგი წესით:

შენიშვნები

სასარგებლო
მომსახურების ვადა
წლებში
3-5

კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული მოპველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ხდება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოპველება საბაზრო პირობების ცვლილების გამო.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილების დინამიკა ასეთია:

ლარში	საოფისე აღჭურვილობა	აქტივის გამოყენების უფლება*	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	21,269	224,683	245,952
შემოსვლები	57,462	-	57,462
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი, 2023 წ.	78,731	224,683	303,414
შემოსვლები	20,196	226,298	246,494
გასვლები	771	224,683	225,454
31 დეკემბერი, 2024 წ.	98,156	226,298	324,454
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2023 წ.	186	14,043	14,229
ცვეთის დანარიცხი	13,400	112,342	125,742
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი, 2023 წ.	13,586	126,385	139,971
ცვეთის დანარიცხი	16,494	112,443	128,937
გასვლები	215	224,683	224,898
31 დეკემბერი, 2024 წ.	29,865	14,145	44,010
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	21,083	210,640	231,723
31 დეკემბერი, 2023 წ.	65,147	98,298	163,443
31 დეკემბერი, 2024 წ.	68,291	212,153	280,444

*კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებიც ფასს 16-ის მოქმედების არეალში ექცევა, შედგება მხოლოდ კომერციული სივრცეებისგან (შენობებისგან).

7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სხვადასხვა შენობა. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება ფიქსირებული ვადით 1-დან 4 წლამდე. აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში ძირითადი საშუალებების თავში.

საიჯარო ვალდებულებები. ლიზინგის წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას, რომელსაც აკლდება მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდები.

იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია კომპანიის ყველა იჯარის ხელშეკრულებაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გასაზრდელად კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის თვალსაზრისით. იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ვალდებულების შეფასებაში ასევე მონაწილეობს საიჯარო გადახდები, რომლებიც ხორციელდება იჯარის გონივრული დაშვებით გაგრძელების შემთხვევაში.

სალიზინგო გადახდების დისკონტირება ხდება სალიზინგო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არ შეიძლება, როგორც ეს ხშირად ხდება კომპანიის იჯარების შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც კომპანია გადაიხდიდა აქტივის გამოყენების უფლების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის დასადგენად კომპანია იყენებს საქართველოს ბაზარზე არსებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს, რომლებიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

საიჯარო გადახდები ნაწილდება ძირითად თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური დანახარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები.

კომპანიამ შემდეგი საიჯარო ვალდებულებები აღიარა:

ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	112,696	101,512
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	105,946	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	218,642	101,512

2024 წლის ფინანსური დანახარჯებში 6,087 ლარის საპროცენტო ხარჯი შევიდა (2023 წ.: 9,077 ლარი).

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს, და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ლარში	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	₾.	₾.
ნაღდი ფული	639,067	322,876
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	639,067	322,876

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა**

საწყისი აღიარება. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა მომხმარებლებთან გარიგებებიდან, თავდაპირველად აღირიცხება მათი გარიგების ფასით, როგორც ეს ფასს 15-ით არის განმარტებული, თუ სავაჭრო მოთხოვნები არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს. ყველა სხვა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომლებიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით, თუ ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების კლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით

ჩამოწერები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აფასებს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშობა დეფოლტი (არსებობის მანძილზე

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ბანკში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთებისა და გაცემული სესხებისთვის. კომპანია საკრედიტო რისკს მნიშვნელოვნად გაზარდილად მაშინ მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულების მიხედვით გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტის მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული კრედიტის საგარანტიო საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება.

აღიარების შეწყვეტა. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. კომპანია ქმნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროგნოზებს, რათა აღრიცხოს სავარაუდო ზარალი, რომელსაც განიცდის იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლები ვერ გადაიხდიან მოთხოვნილ თანხებს ან მომწოდებლები ვერ მიაწვდიან შეთანხმებულ პროდუქტებს ან მომსახურებას. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გადაუხდელობის ობიექტური მტკიცებულება. კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავის შეფასებებს აყრდნობს არსებულ საერთო ეკონომიკურ პირობებზე, მოთხოვნების ვადიანობაზე და ავანსების ნაშთებზე, ჩამოწერების გამოცდილებაზე, მომხმარებლის და მომწოდებლის კრედიტუნარიანობაზე და გადახდის პირობების ცვლილებებზე.

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	356,427	123,881
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356,427	123,881

10. სააქციო კაპიტალი

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ ნომინალურ ოდენობას.

დივიდენდები. დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვეთება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია „შემდგომი მოვლენების“ თავში. 2024 და 2023 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

11. ამონაგები მომსახურების გაწევიდან

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება. კომპანიის ძირითად ამონაგებს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გაწევიდან.

პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მომსახურება. კომპანია პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის მომსახურებას სწევს ფიქსირებულფასიანი კონტრაქტით. კომპანია მომსახურებაზე კონტროლს გადასცემს დროთა განმავლობაში და, შესაბამისად, შესასრულებელი ვალდებულების პირობას აკმაყოფილებს დროთა განმავლობაში. მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც მომსახურება გაიწია. ფიქსირებულფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში, ამონაგების აღიარება იმისდა მიხედვით, თუ მთლიანი გასაწევი მომსახურების რა წილს შეადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ფაქტობრივად გაწეული მომსახურება, ვინაიდან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და იყენებს სარგებელს. ეს განისაზღვრება ფაქტობრივი ნამუშევარი საათების მიხედვით, მთლიან მოსალოდნელ მოსალოდნელ სამუშაო საათებთან მიმართებით.

თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთზე მეტ შესასრულებელ მოვალეობას, გარიგების ფასი თითოეულ მოვალეობაზე ნაწილდება ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. თუ ეს ფასები პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, მაშინ ისინი შეფასდება მოსალოდნელი თვითღირებულებას დამატებული მარჟის საფუძველზე.

ამონაგების, დანახარჯების ან დასრულების პროცენტის შეფასებები გადაისინჯება გარემოებების ცვლილების შემთხვევაში. სავარაუდო ამონაგების ან დანახარჯების ნებისმიერი გაზრდა ან შემცირება აისახება იმ პერიოდის მოგებასა და ზარალში, როდესაც გადასინჯვის გამომწვევი გარემოებების შესახებ ცნობილი გახდა ხელმძღვანელობისთვის.

ფიქსირებულფასიანი კონტრაქტების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის მიხედვით. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება გადახდილ თანხას, ხდება სახელშეკრულებო აქტივის აღიარება. თუ გადახდილი თანხა აღემატება გაწეულ მომსახურებას, ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება.

მარწმუნებლის და რწმუნებულის გამიჯვნა. კომპანია არის მარწმუნებელი (და, შესაბამისად, ამონაგებს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს), თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას ამ საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემამდე. კომპანია არის რწმუნებული (და, შესაბამისად, ამონაგებად აღრიცხავს იმ თანხის ნეტო (წმინდა) ოდენობას, რომელსაც იტოვებს თავისი სააგენტო მომსახურებისთვის) თუ მისი ფუნქციაა, უზრუნველყოს სხვა საწარმოს მიერ საქონლის ან მომსახურების მიწოდება. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი მარწმუნებლად გამოდის ზემოაღწერილ საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებით, რადგან იგი კონტროლებს აღნიშნულ საქონელსა დამომსახურებას მომხმარებლისთვის მათ გადაცემამდე. შესაბამისად, კომპანია ამონაგებს ბრუტოს საფუძველზე აღრიცხავს.

მოთხოვნების აღიარება ხდება საქონლის მიწოდების დროს, ვინაიდან ეს ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საზღაური უპირობოა, რადგან გადახდის ვადის მოსვლისთვის გარკვეული დროის გასვლაა საჭირო.

დაფინანსების კომპონენტები. მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, რადგან გაყიდვები ხორციელდება კრედიტის პირობით, რაც შესაბამისობაშია საბაზრო პრაქტიკასთან. კომპანია ამონაგებს იღებს საქონლის ან მომსახურების გადაცემიდან დროთა განმავლობაში და დროის გარკვეულ მომენტში შემდეგ ძირითად პროდუქციის ხაზებში:

ლარში	2024	2023
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	3,743,059	2,502,101
სულ ამონაგები	3,743,059	2,502,101

12. შრომითი დანახარჯები

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასები, საქართველოს სახელმწიფო საპენსიო და სოციალური დაზღვევის ფონებში შენატანები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი (მაგალითად, ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღების მომსახურება) ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის დასაქმებულთა მიერ.

ლარში	2024	2023
ხელფასები	(2,559,261)	(1,125,434)
საპენსიო ხარჯი	(52,756)	(22,510)
სულ შრომითი დანახარჯები	(2,612,017)	(1,147,943)

13. მომსახურების ხარჯები

ლარში	2024	2023
პროგრამული მომსახურება	(1,557,699)	(982,079)
აუდიტის ხარჯი	(14,857)	-
სხვა მომსახურების ხარჯები	(17,369)	(2,356)
სულ მომსახურების ხარჯები	(1,575,068)	(984,435)

14. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

სასამართლოში საქმის წარმოება. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელი აღიმდრას. თავისი შეფასებებისა და შიდა თუ გარე პროფესიონალების რჩევის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ განიცდის არსებით ზარალს სარჩელებიდან იმ თანხაზე მეტი ოდენობით, რაც დარეზერვებული აქვს წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ხშირად სხვადასხვაგვარად იქნეს განმარტებული. გადასახადები მოწმდება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების უფლება.

საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მან ადეკვატურად ასახა საგადასახადო ვალდებულებები, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ 2010 წელს. ეს კანონმდებლობა დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების საშუალებას იძლევა კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებაში (გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და გარკვეული ტიპის ოპერაციები არადაკავშირებულ მხარეებთან), თუ ეს ოპერაციები არ ხდება გაშლილი ხელის პრინციპით. ხელმძღვანელობას დანერგილი აქვს შიდა კონტროლი, რათა აკმაყოფილებდეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

კონტროლირებული ოპერაციებით განპირობებული საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების მიხედვით. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციებით მსგავსი სატრანსფერო ფასების ექვევებ დაყენება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკი პერიოდის ბოლოსთვის (2023 წ.: არა) და აპირებს კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოზიციების შენარჩუნებას.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად წარმოქმნილი პოტენციური ვალდებულებების შეფასება შეუძლებელია, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინონ. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატური ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება კლიმატური ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალური ცნობადობის ამაღლების საკითხს. ამჟამად ამ საკითხს არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ხოლო კომპანიის საქმიანობაზე და ბიზნესგეგმვაზე სამომავლო ეფექტების წინასწარ განსაზღვრა რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ მხრივ მიმდინარე ცვლილებების მეთვალყურეობას და საჭიროებისამებრ მოახდენს რეაგირებას, რათა უზრუნველყოს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობა და დანერგავს მთავრობის ყველა სახელმძღვანელო მითითებას, თუ ისინი შეეხება იმ ბაზრებს, რომლებშიც კომპანია საქმიანობს.

15. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება და მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება, ამ ინსტრუმენტების უმეტესობის მოკლე დაფარვის ვადების გამო.